ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

„დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე“

რეკომენდაციები

საქმიანობის დამგეგმავი: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტუქტურის სამინისტრო

ანგარიშის წარმდგენი: შპს „ურბანიკა“

საქმიანობის შესრულების ადგილი: დაბა სურამი

პროექტის მოკლე აღწერილობა: დაბა სურამი რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტია, უნიკალური ბუნებრივი კლიმატი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა სურამს ადვილად მისადგომს ხდის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთათვის. სურამი საქართვლოს ერთ-ერთი მთავარი საავტომობილო გზის (თბილისი-სენაკი-ლესელიძე საერთაშორისო მნიშვნელობის გზა - ს1), კერძოდ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზის გასწვრივ არის განვითარებული.

დღეის მდგომარეობით, დაბა სურამს არ გააჩნია გენერალური გეგმა. არსებობს საფრთხე, რომ ტურისტების გაზრდილი რაოდენობის ფონზე (განსაკუთრებით ზაფხულში) აქტიური სამშენებლო საქმიანობები და უსისტემო განაშენიანება ზიანს მიაყენებს დაბას.

შესაბამისად, დაბაში არსებული გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით, გამოიკვეთა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების აუცილებლობა და 2019 წლის 11 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი (საკონკურსო განცხადება N CNT190000112) დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის შემუშავების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით. ასევე მომზადებულია დასამტკიცებლად კურორტ სურამის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების (კლიმატი,

მინერალური წყლები) თვისებების შესანარჩუნებლად, მათი გამოფიტვისა და დაბინძურების თავიდან აცილების, ტერიტორიაზე საწარმოთა განთავსებისა და მოსახლეობის განსახლების საკითხების მოწესრიგების მიზნით:

ა) კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონები;

ბ) რეჟიმი კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში;

გ) ამკრძალავი ღონისძიებები კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში;

დ) სანიტარიულ–გამაჯანსაღებელი ღონისძიებების თანდართული გეგმა.

შპს „ურბანიკა"-ს მიერ მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად პუნქტებს:

1. სურამის ტბის განვითარება;

2. შუშის ქარხნის ტერიტორიის ათვისება და გამოყენება;

3. სპორტული კომპლექსის მოწყობა;

4. ჩუმათელეთის უზრუნველყოფა სკოლით;

5. „ბანაკის" ტერიტორიაზე პარკის მოწყობა;

6. სურამში არსებული თერმული წყლების გამოყენება;

7. სურამის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღებით;

8. სახელმწიფო სანატორიუმების გასხვისების სტრატეგია;

9. სოფლის მეურნეობის განვითარება სურამსა და მიმდებარე სოფლებში;

10. შიდა ტურისტული მარშრუტების შექმნა;

11. გარე ტურისტული მარშრუტების შექმნა;

12. დასახლებაში არსებული სასაფლაოების დახურვა;

13. ახალი სპორტული ობიექტების შექმნა;

14. ფსიქიატრიული კლინიკის ტერიტორიის რეაკრეაციულ ტერიტორიად გადაკეთება;

15. რკინიგზის ადგილზე საფეხმავლო ბულვარის მოწყობა;

16. ბულვარსა და სურამის ციხეს შორის საფეხმავლო კავშირის შექმნა;

17. სურამის ციხის ირგვლივ საფეხმავლო ზონის მოწყობა;

18. ტურისტული ჰაბის მოწყობა.

განხილვა: სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - „ცენტრი") მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან შემოსული წერილის #01/3539, 08.10.2020 წ. საფუძველზე, რომელიც ეხება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და 2019 წლის 11 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება N CNT190000112) გამარჯვებული კომპანიას - შპს „ურბანიკა"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (N2/19) თანახმად დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 27- მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მომზადდა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების/შემარბილებელი ღონისძიებებისაკენ მიმართული რეკომენდაციები, რომლებიც დამგეგმავმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს პროექტის განხორციელების და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დაბა სურამის სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენისას, ცენტრის მიერ გაცემული დასკვნის და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე, სგშ-ს ანგარიშსა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთავარი ასპექტების ზოგადი ანალიზი იმ ტერიტორიებისათვის, რომლებიც შესაძლებელია მნიშვნელოვან ზემოქმედებას დაექვემდებაროს. წარმოდგენილი დოკუმენტები რაციონალურად ასახავენ დაბის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაძლო საფრთხეებს და მათთან ასოცირებული რისკების შემცირების და/ან პრევენციის ღონისძიებების გატარების მეთოდებს შესაბამისი ალტერნატივებით. ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისას განხორცელდა როგორც საველე, ასევე კამერალური კვლევები და მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს, როგორებიცაა: სასმელი წყლისა და სანიტარიული პირობებით უზრუნველყოფა, წყალარინება, ჰაერის დაბინძურება, ხმაურის დონე, ნარჩენების მართვა, სამედიცინო დაწესებულებებით უზრუნველყოფა და სერვისების მიწოდება, გადამდებ დაავადებათა ანალიზი, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, სპორტული და საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხელმისაწვდომობა საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე და სხვა.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხილვის ეტაპზე, 2020 წლის 30 ნოემბერს, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დაგეგმილ ,,დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული დოკუმენტის პროექტისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში"-ს საჯარო განხილვაში, რომელსაც ესწრებოდა ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის დაბა სურამის და ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოსახლეობა. აღნიშნულ შეხვედრაზე, ცენტრმა დააფიქსირა პოზიცია დაბის ტერიტორიაზე ეკო-მეგობრული ტრანსპორტის - ტრამვაის განვითარების მნიშვნელობაზე და წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 თავის 27 - ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, 2020 წლის 13 ნოემბერს ცენტრმა მოიწვია საექსპერტო კომისია, რომელმაც იმსჯელა წარმოდგენილ დოკუმენტებში მოწოდებული ინფორმაციის შესახებ, რის საფუძველზეც მომზადდა რეკომენდაციები, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტები და მინიმუმამდე იქნას შემცირებული გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება:

- **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება**

1. „მწვანე ქალაქის" და ენერგოეფექტური პრინციპების საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში დანერგვა;

2. კერძო ავტოტრასპორტზე მოთხოვნილების შემცირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ელექტრო ტრანსპორტით, ფეხით სიარულის და ველოსიპედების გამოყენების ხელშეწყობა;

3. რკინიგზის ადგილზე საფეხმავლო ბულვარის მოწყობის გარდა, მოხდეს რკინიგზის ხაზის აღდგენა რკინიგზის სადგურამდე, ე.წ. ტრამვაის სახით, რათა ქალაქს ემსახურებოდეს ეკო-მეგობრული ტრანსპორტი;

4. შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების შესწავლა და გაუმჯობესების შესაძლებობების განხილვა;

5. ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის დაგეგმვა;

6. ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე.

- **ნარჩენების მართვა**

7. პროექტის განხორციელების ეტაპზე, დამგეგმავმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახული იქნება ნარჩენების მართვა/განკარგვის საკითხები, მათ შორის ტურისტული სეზონის დროს სწრაფად მზარდი ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით.

8. დაიგეგმოს ახალი საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა და განახლებული გამწმენდი ნაგებობები, განაშენიანების ახალ ტერიტორიებზე.

- **საგანმანათლებლო დაწესებულებები**

9. დეტალურად იქნას შეფასებული ბაინთხევის ტერიტორიაზე სკოლის აშენების/არ აშენების სტატუსი, რადგან განათლების მიღების ხელმისაწვდომობა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

- **სასმელი წყლის ხარისხი, წყალმომარაგება, სანიტარია და წყალარინება**

10. არსებული წყალმომარაგებისა და სანიტარიის, წყალარინების პირობების საკითხის დეტალური შესწავლა, ანალიზი და მისი გაფართოების შესაძლებლობები განაშენიანების ახალ ტერიტორიებზე . მდინარეების დაცვა დაბინძურებული საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით. გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის დაგემვა და გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები (მოსახლეობის რამდენ % გაუუმჯობესდება ხელმისავდომობა ხარისხიან სასმელ წყალსა და ადეკვატურ სანიტარიაზე).

- **სანიტარული დაცვის ზონები**

11. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მომზადებულია დასამტკიცებლად კურორტ სურამის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების (კლიმატი, მინერალური წყლები) თვისებების შესანარჩუნებლად, მათი გამოფიტვისა და დაბინძურების თავიდან აცილების, ტერიტორიაზე საწარმოთა განთავსებისა და მოსახლეობის განსახლების საკითხების მოწესრიგების მიზნით:

ა) კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონები;

ბ) რეჟიმი კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში;

გ) ამკრძალავი ღონისძიებები კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში;

დ) სანიტარიულ–გამაჯანსაღებელი ღონისძიებების თანდართული გეგმა.

სავალდებულოა მთავრობის დადგენილების დამტკიცების შემდეგ ხაშურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინოს კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის

ზონები და მათი რეჟიმი ყველა სახის საპროექტო ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავებისას (მათ შორის გენგეგმის) როგორც ერთ–ერთი გეგმარებითი შემზღუდავი მნიშვნელოვანი პირობა.

- **სამედიცინო მომსახურება**

12. დეტალურად შეფასდეს ამბულატორიულ, სტაციონარულ, სასწრაფო სამედიცინო დაწესებულებებზე და სხვა პროფილის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე ხელმისაწვდომობა, საჭიროების შემთხვევაში გაიწეროს სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის გეგმა.

13. ფსიქიატრიული საავადმყოფოს გადატანასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის განხილვა და შეთანხმების პროცესი სხვადასხვა უწყებებთან. დამატებით გეცნობებათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.

14. პროექტის განხორციელების ეტაპზე და შემდეგომ, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების გათვალისწინება, ფიზიკური აქტივობის, ტრამვებისა და დაზიანებების არსებული ტენდენციების და მათი შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა.

<u>დასკვნა:</u>

ცენტრი, საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დადებითად აფასებს წარმოდგენილ პროექტს „დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანარიშს“.

კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა და მათი რეჟიმი უნდა გახდეს საფუძველი გენგეგმის (როგორც ერთ–ერთი გეგმარებითი შემზღუდავი მნიშვნელოვანი პირობა) შემუშავების ყველაზე ადრეულ ეტაპზე, რათა მაქსიმალურად მოხდეს თავიდან აცილება და შემსუბუქება ადამიანის ჯანმრთელობაზე ამჟამად მოქმედი და პოტენციური რისკ-ფაქტორების, მათი ზემოქმედების არეალებისა და მასშტაბების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე